



ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

## რექტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება

**დამტკიცებული:**

სენატის სხდომის ოქმი N7.

თარიღი: 21.03.2023 წ.

დადგენილება N17.

**ცვლილება:**

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N15.



## **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებათა რეესტრის გამართულ ფუნქციონირებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით მომსახურებას;

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის დებულების, ამ დებულებისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

## **მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები**

### **2.1. სამსახურის ფუნქციებია:**

ა. საგანმანათლებლო დანესებულებების რეესტრში „საგანმანათლებლო დანესებულებების რეესტრის წარმოების წესით“ განსაზღვრული ინფორმაციის შეტანა, მასში ცვლილებების განხორციელება ან/და რეგისტრირებული ინფორმაციის რეესტრიდან ამოღება;

ბ. საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემის გამართული ფუნქციონირება;

გ. უნივერსიტეტის საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნა, მისი მართვა და სისტემატური განახლება - გაფართოება, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული საშუალების ჩატარება;

დ. უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის სერვერის გამართული მუშაობა და მასში ახალი მომხმარებლების რეგისტრაცია, საფოსტო ყუთების დაცვა და დარეზერვება;

ე. კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა. მომხმარებლების ტექნიკური მხარდაჭერა და კომპიუტერული მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობისთვის საჭირო საშუალების უზრუნველყოფა;

ვ. კომპიუტერული ტექნიკის საგარანტიო შეკეთების მონიტორინგი;

ზ. ვიდეო სათვალთვალ მოწყობილობების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

თ. ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერა ტექნოლოგიების სერვისების მიმართულებით;

ი. უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის და ტექნოლოგიების რეგისტრაცია - აღრიცხვა, განაწილება და მონიტორინგი;

კ. მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში.

**მუხლი 3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ინფორმაცია**

3.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ რეესტრში შესატანი ინფორმაცია:

ა. საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე (შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მითითებით);

ბ. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართი, ფაქტობრივი მისამართ(ებ)ი, საფოსტო კოდი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტისა და ოფიციალური ვებ - გვერდის მისამართი;

გ. დამფუძნებელი (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სახელმწიფო) და მისი საიდენტიფიკაციო კოდი ან პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

დ. სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი, ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციისა და სახელწოდების ცვლილების შესახებ შესაბამისი აქტების მითითებით (აქტის ნომერი, მისი მიღებისა და ძალაში შესვლის თარიღები);

ე. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხელმოწერების დასკანერებული ვერსია, პირადი ნომერი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, უფლებამოსილების მინიჭებისა და შეწყვეტის თარიღი შესაბამისი აქტების მითითებით;

ვ. ინფორმაცია უნივერსიტეტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლების შესახებ პერიოდის მითითებით, შესაბამისი აქტის დასახელება, ნომერი და მიღების თარიღი;

ზ. საგანმანათლებლო დაწესებულებაში საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი);

თ. უნივერსიტეტის ბეჭდის, შტამპის და სატიტულო ფურცლის დასკანერებული ნიმუშები, მათი დამტკიცების/გაუქმების თარიღების მითითებით;

ი. ინფორმაცია უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ გადანაცვლებების ნომრის, თარიღის, მათი მოქმედების ვადისა და შესაბამისი საფეხურების მითითებით, რომელმაც განხორციელდა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭება;

კ. საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი და სახე;

ლ. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

**მუხლი 4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია**

4.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ შესატანი ინფორმაცია:

- ა. საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- ბ. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზებულ რეეიში მოქმედების თაობაზე ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ნომრის, თარიღისა და მათი მოქმედების ვადის მითითებით;
- გ. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ნომრის, თარიღისა და მათი მოქმედების ვადის მითითებით;
- დ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა;
- ე. საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური.

**მუხლი 5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ შესატანი ინფორმაცია**

5.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ შედის შემდეგ ინფორმაცია:

- ა. სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (იურიდიული/ფაქტობრივი), ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- ბ. დაკავებული თანამდებობა, თანამდებობის დაკავების ან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის თარიღისა და დასრულების თარიღის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გ. განათლება, ინფორმაცია აკადემიური ხარისხის შესახებ, პუბლიკაციები;
- დ. საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის/რომლების განხორციელებაშიც მონაწილეობს პირი;
- ე. დამატებითი ინფორმაცია დაწესებულების შეხედულებისამებრ;
- ვ. სხვა ინფორმაცია, რომელიც განისაზღვრება ამავე წესით

5.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შეიტანება ამ მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება აქტის გამოცემას - შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში (გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ამ საკითხის მომწესრიგებელი სპეციალური სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის რეესტრში ასახვის განსხვავებული ვადები).

**მუხლი 6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ ჩარიცხული პირების შესახებ შესატანი ინფორმაცია**

6.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შედის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ შემდეგ ინფორმაცია:

- ა. სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა;
- ბ. მისამართი (იურიდიული/ფაქტობრივი);
- გ. ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი;
- დ. საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური;
- ე. საგანმანათლებლო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაციის მითითებით), რომელზეც განხორციელდა ჩარიცხვის უფლების მინიჭება;
- ვ. ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მათ შორის, ბრძანების ნომერი და თარიღი);
- ზ. საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, რომლის დამთავრების საფუძველზეც პირი ჩარიცხა შესაბამის საფეხურზე, დამთავრების წელი, ატესტატის/პროფესიული დიპლომის/დიპლომის ნომერი და ატესტატის/პროფესიული დიპლომის/დიპლომის გაცემის თარიღი (არსებობის შემთხვევაში);
- თ. ჩარიცხვის ფორმა/მეთოდი;
- ი. ჩარიცხული პირის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და გაცემის თარიღი, ასევე შესაბამისი დოკუმენტის დასკანერებული ვერსია;
- კ. სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი/საკონკურსო ქულა (არსებობის შემთხვევაში);

6.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შედის ამ მუხლის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები (გარდა ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება აქტის გამოცემას - შესაბამისი გარემოების დადგომიდან

არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საკითხის მომწესრიგებელი სპეციალური სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის რეესტრში ასახვის განსხვავებული ვადები).

**6.3.** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის გავრძელების უფლების მქონე პირთა (აბიტურიენტების) შესახებ, ცენტრის მიერ შეიტანება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტსა და აბსოლუტური ქულებით აბიტურიენტთა რანჟირების დოკუმენტში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ინფორმაციის ცენტრისათვის მოწოდებიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში.

## **მუხლი 7. სამსახურის მართვა**

**7.1.** სამსახურს მართავს ხელმძღვანელი და სპეციალისტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

### **7.2. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები**

ა. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში საგანმანათლებლო დაწესებულების, საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით“ განსაზღვრული ინფორმაციის შეტანა, მასში ცვლილებების განხორციელება ან/და, საჭიროების შემთხვევაში, რეგისტრირებული ინფორმაციის რეესტრიდან ამოღებაზე ზედამხედველობა;

ბ. საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციაზე ზედამხედველობა;

გ. საინფორმაციო - ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა - განვითარება;

დ. წინამდებარე დებულებით, სამსახურის დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ე. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება.

### **7.3. რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტის ფუნქციები:**

ა. საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემის გამართული ფუნქციონირება;

- ბ. უნივერსიტეტის საერთო - კომპიუტერული ქსელის შექმნა, მისი მართვა და სისტემატური განახლება - გაფართოება, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება;
- გ. უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის სერვერის გამართული მუშაობა და მასში ახალი მომხმარებლების რეგისტრაცია, საფოსტო ყუთების დაცვა და დარეზერვება;
- დ. კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა; მომხმარებლების ტექნიკური მხარდაჭერა და კომპიუტერული მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობისთვის საჭირო სამუშაოების უზრუნველყოფა;
- ე. ვიდეო სათვალთვალ მოწყობილობების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ვ. ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერა საერთაშორისო ბაზებზე წვდომისა და ტექნოლოგიების სერვისების მიმართულებით;
- ზ. უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის დაგეგმარება, გამართვა და ოპტიმალური ფუნქციონირება;
- თ. უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზების შექმნა და დანერგვა;
- ი. შიდა ქსელური სერვისების და სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა;
- კ. საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე ზედამხედველობა;
- ლ. უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის და ტექნოლოგიების რეგისტრაცია-აღრიცხვა, განაწილება და მონიტორინგი.

## **მუხლი 8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

- 8.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;
- 8.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;
- 8.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;
- 8.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.